№ 31/05-01 31.05.2022 წელი

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსს

ბატონ არჩილ ნიკოლეიშვილს

ბატონო არჩილ,

შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეი“ (ს.კ.:405451880) (შემდგომში „კომპანია“), საქართველოს მთავრობასთან 2021 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური გახორციელებადობის საკითხის შესწავლის, ელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ხელშეკრულების (დანართი N1 ცხენისწყალის მემორანდუმი) საფუძველზე ვახორციელებთ ჰიდროელექტროსადგური „ცხენისწყალი 1“-ის პროექტს.

მშენებლობა უნდა განხორციელდეს სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს სოფ. მელეს მიმდებარედ; თქვენს დაქვემდებარებული ტერიტორიის იდენტიფიცირების მიზნით დანართი N2-ის (49 წლიანი სპეციალური სარგებლობა, ჰესის ძირითადი მუდმივი ნაგებობები) და დანართი N3-ის (2 წლიანი სპეციალური სარგებლობა, დროებითი შენობა ნაგებობები) სახით წარმოგიდგენთ ტყით სპეციალური სარგებლობისთვის შერჩეული ფართობის დაზუსტებული აზომვით ნახაზებს UTM კოორდინატთა სისტემაში და განსაკუთრებული დანიშნულებით შერჩეულ ფართობზე არსებულ მერქნიან მცენარეთა მონიშვნის აღრიცხვის მასალებს.

გთხოვთ საქართველოს მთავრობის 18.05.2021 წლის, N221 დადგენილების შესაბამისად 49 წლიანი სპეციალური სარგებლობით გადმოგვცეთ დანართი N2 წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები (12 მიწის ნაკვეთი, ფართობი 168 511 მ2), ხოლო დანართი N3-ით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი დროებითი ნაგებობების ტერიტორია (3 მიწის ნაკავეთი ფართობი 22 443 მ2) გადმოგვეცეს 2 წლიანი სპეციალური სარგებლობის უფლებით.

დანართი:

1. ცხენისწყალი 1 ჰესის მემორანდუმი;
2. ჰესის განთავსების ძირითადი ნაგებობების მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზები და მერქნული რესურსის აღრიცხვის მასალები;
3. დროებითი შენობა ნაგებობების მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზები და მერქნული რესურსის აღრიცხვის მასალა;
4. კომპანიის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

პატივისცემით,

---------------------

ზურაბ გელენიძე

შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეი“-ს დირექტორი